საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურმანიძე მურად ღუტუს ძე

თურმანიძე მურად ღუტუს ძე (დ. 22. II. 1959, ზესტაფონი), გენერალ-მაიორი (2005). დაამთავრა საქართველოს პოლიტექ. ინ-ტის სატრანსპორტო ფაკ-ტი საავტომობილო გზების მშენებლობის სპეციალობით (1983). 1983–94 იყო საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს განყ-ბის უფროსი. 1994–2004 მუშაობდა საქართველოს სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 2004–10 იყო საქართველოს სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურში უფროსის მოადგილე. ამჟამად თადარიგშია. არის სპორტის ოსტატი (კალათბურთი, 1980).

ლ. დოლიძე